ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 1569-11 22 12 2011წ.

დადგენილება №000241
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

22.12.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 20 დეკემბრის №000241 შემოწმების აქტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, შედგენილი შ.პ.ს. "მეტრა გრუპ ჯორჯია"-ს (მის.: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №12ა, ბ.№10) მიმართ, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-19 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში შ.პ.ს. "მეტრა გრუპ ჯორჯია"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი და საზოგადოებრივი) კომპლექსის "ა" და "ბ" ბლოკების მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2517 09.11.2010წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ, -6.30 ნიშნულზე „კ-ე" მონაკვეთში „1-1" ღერძის გარეთ შემცირებულია წრიული ფორმის საყრდენი კედლის რადიუსი, დაახლოებით 1მ-ით. „3-4" მონაკვეთში „ი-თ" ღერძებს შორის ლიფტის კარი გაუქმებულია. „ე-ე" „დ-დ" და „ბ-ბ" ღერძებზე „7-8" და „9-10" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია დაიაფრაგმები. „7-10" მონაკვეთში „ა-ლ" ღერძებს შორის არსებული და საპროექტო დონეები არ შეესაბამება ერთმანეთს. „11-1" ფასადზე „4-1" მონაკვეთში +17.40 და +20.70 ნიშნულებზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის. „4-1" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულის ქვემოთ გაუქმებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთება. ფასადებზე შეცვლილია კარ-ფანჯრის ნახატი. „1-4" ფასადზე „2-3" მონაკვეთში გაზრდილია კარის ღიობი სიგანეში, დაახლოებით 0.4მ-ით. „ი-თ" მონაკვეთში „1-2" ღერძებს შორის სავენტილაციო შახტა მობრუნებულია. „4-4" ღერძზე „ი-კ" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, დამატებით მოწყობილია ფრამუგა. +4.20 ნიშნულიდან ზემოთ შენობის მთელ სიმაღლეზე „7-5" მონაკვეთში „ლ-კ" ღერძის გარეთ გაზრდილია აივნის ფართი დაახლოებით 2.4მ²-ით თითო

ნიშნულზე და შეცვლილი კონფიგურაცია, ასევე „10-7“ მონაკვეთში „ლ-ლ“ ღერძის გარეთ გაზრდილია ათვანი, დაახლოებით 4.5მ²-ით თითო ნიშნულზე და შეცვლილი აქვს კონფიგურაცია. „8-8“ ღერძზე „ვ-დ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დიაფრაგმა.

2011 წლის 20 დეკემბერს “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 19 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000241 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, რომელიც ჰ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს წარმომადგენელს ნათია ანთელაძეს ჩაბარდა 2011 წლის 21 დეკემბერს. საქმეშია, მხარის განცხადება №07/167655-16 08.12.2011წ.; მინდობილობა №44/12/2011, გაცემული შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს დირექტორის ლიანა მოდებაძის მიერ 21.12.2011წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს მიერ ჩადენილია “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის 23-მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მაისურაძის ქ. №11-ში შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური (საცხოვრებელი და სახსგადიებრიც) კომპლექსის “ა” და “ბ” ბლოკების მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ა. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2517 09.11.2010წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია” დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს დაევალოს, “ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ შ.პ.ს. “მეტრა გრუპ ჯორჯია”-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ილებს დადგენილების საფრავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ბაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ბაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (მარტყოფის ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 160

თარიღი: 2012 წლის 18 01, ოთხშაბათი

გადამხდელის დასახელება:	შპს"მეტრა გრუპ ჯორჯია"
ანგარიში (დებეტი):	GE04LB0113185145935000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	300773263 თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიან
მიმღების დასახელება:	ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ანგარიში (კრედიტი):	200122900
მიმღების ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	დადგენილება #000241 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ხელმოწერა: _____

_____ ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL
GEL
4000.00
თანხა სიტყვიერად
ოთხი ათასი GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 18.01.2012

ხელმოწერა: _____